

# შპს კეონი აკადემია

იანვარი-დეკემბერი 2020 წელი

შპს კეონი აკადემიის წლიურ ანგარიშში წარმოდგენილია 2020 წლის მუშაობის შედეგები აკადემიის 2020-2026 წლების სტრატეგიულ მიზნებსა და 2020 წლის სამოქმედო გეგმასთან მიმართებით.

თბილისი

2020

## სარჩევი

1. ხედვა,მისისა, ღირებულებები -----3
2. შპს კეონი აკადემიის 2020-2026 წწ.სტრატეგიული მიზნები -----4
3. სტრატეგიული მიზანი 1 საგანამანთლებლო პროგრამების დაგეგმვა, განვითარება; -----5
4. სტრატეგიული მიზანი 2 ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა -----6
5. სტრატეგიული მიზანი 3 პროფორიენტაციის მექანიზმების დანერგვა ,კურსდამთავრებულის დასაქმების ხელშეწყობა საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება ----- 7
6. სტრატეგიული მიზანი 4 ადამიანური რესურსების განვითარება -----8
7. სტრატეგიული მიზანი 5 სტუდენტური სერვისების განვითარება-----9
8. სტრატეგიული მიზანი 6 ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება -----10

## შპს კეონი აკადემიის ხედვა, მისია, ღირებულებები

### შპს კეონი აკადემიის მისიაა:

თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების მომზადება.

აკადემიის ხედვაა იყოს ადგილობრივ ბაზარზე წამყვანი, ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო დაწესებულება თმის და სილამაზის მომსახურების სფეროში, რომელიც ვითარდება ინოვაციური მიდგომების დანერგვით, საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველზე. ასევე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა, ახალი უნარები ახალი დასაქმებისთვის რომელიც წარმოადგენს ზრდისა და სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის მთავარ ასპექტს და რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

### ღირებულებებია:

- პროფესიონალიზმი;
- ხარისხზე და განვითარებაზე ორიენტირებულობა;
- გუნდურობა;
- სოციალური პასუხისმგებლობა;

შპს კეონი აკადემიის 2020-2026წწ სტრატეგიული მიზნები:

სტრატეგიული მიზანი 1 საგანამანთლებლო პროგრამების დაგეგმვა, განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 2 ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;

სტრატეგიული მიზანი 3 პროფორიენტაციის მექანიზმების დანერგვა „კურსდამთავრებულის დასაქმების ხელშეწყობა საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 4 ადამიანური რესურსების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 5 სტუდენტური სერვისების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 6 ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 1 საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, განვითარება;

აღნიშნული მიზანი მისაღწევად 2020 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანები: აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის/საკანონმდებლო ბაზის შემუშავება/განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება და შეფასება.

ა) აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის/საკანონმდებლო ბაზის შემუშავება/განვითარება განხორციელდა წარმატებით. მიმდინარე წელს გადაიხედა აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, მოხდა მათში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

მტკიცებულებები: ბრძანება N1-22 შპს კეონი აკადემიის ზოგიერთი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ 12.10.20 ; ბრძანება N1-23 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კეონი აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესის დამტკიცება; 12.10.20 ბრძანება N1-24 კეონი აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესის დამტკიცება 12.10.20 ბრძანება N1-25 შეზღუდული საზოგადოება კეონი აკადემიის ზოგიერთი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ 15.10.20 ბრძანება N1-26 შეზღუდული საზოგადოება კეონი აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ 15.10.20

ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და შეფასება. ამ ამოცანის შესასრულებლად , დაგეგმილი იყო ხუთი აქტივობა, რომელიც მოიცავდა სასწავლო ცხრილების შედგენას, სახარჯი მასალის შეძენას, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების გამოკითხვას, ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების თვითშეფასებას. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის უზრინველყოფის მიზნით აკადემიაში შემუშავდა დისტანციური სწავლების წესი. აღნიშნული აქტივობა 2020 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული არ ყოფილა.

მტკიცებულება: ბრძანება N 1-11 10.06.2020 შპს კეონი აკადემიაში დისტანციური სწავლების წესის დამტკიცება სასწავლო პროცესის მენეჯერის ეკა წითლიძის მოხსენებითი ბარათი N 3730 28.12.20

სასწავლო ცხრილები ორივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დგებოდა უწყვეტ რეჟიმში, სასწავლო გეგმის შესაბამისად და ხელმისაწვდომი იყო როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისათვის.

მტკიცებულებები: აკადემიაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ცხრილები, დახურულ facebook ჯგუფებში ატვირთული ცხრილები.

პროფესიულმა სტუდენტებმა წლის განმავლობაში სამ კვლევაში მიიღეს მონაწილეობა, ესენია „ სასწავლო პროცესის შეფასების კვლევა“, „ სტუდენტური სერვისებით კმაყოფილების კვლევა“ და „ სირთულეები დისტანციურ სწავლებაში“. კვლევის შედეგები გაანალიზდა, გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეები, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით როგორც პროფესიული სტუდენტები, ასევე პროფესიული მასწავლებლები ახდენენ თითოეული მოდულის შეფასებას. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს ასევე „ სირთულეები დისტანციურ სწავლების“ კვლევაში. კვლევის შედეგებს პროფესიული განათლების მასწავლებლები გაეცნენ სასწავლო წლის შემაჯამებელ შეხვედრაზე.

მტკიცებულებები: სასწავლო პროცესის შეფასების კვლევის ანალიზის დოკუმენტი; სტუდენტური სერვისებით კმაყოფილების კვლევის ანალიზის დოკუმენტი, სირთულეები დისტანციურ სწავლებაში კვლევის ანალიზის დოკუმენტი ; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯრის ნანა ხითარიშვილის მოხსენებითი ბარათი N 3729  
28.12.20 <https://keuneacademy.ge> ; <https://www.facebook.com/KeuneAcademyGe>

რაც შეეხება პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი სახარჯი მასალების შეძენას, მასალების შეძენა მიმდინარეობდა პერმანენტულად. მასალები იყო ხელმისაწვდომი და საკმარისი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის.

მტკიცებულებები: მასალა/ნედლეულის შესყიდვის და ჩამოწერის აქტები, სასწავლო პროცესის მენეჯერსა და პროფესიული განათლების მასწავლებელს შორის გაფორმებული ნედლეულისა და სახარჯო მასალის მიღება/ჩაბარების აქტები. ბუღალტრის ნატო ჩადუნელის მოხსენებითი ბარათი N3732 28.12.20

შენიშვნა: იმის გათვალისწინებით რომ 2020 წლია ოქტომბერ-ნოემბერში სწავლება მიმდინარეობდა შერეული ფორმით (ნაწილობრივ დისტანციურად, ნაწილობრივ აკადემიაში ) ხოლო ნოემბრის ბოლოდან სრულად დისტანციური გახდა თეორული მოდულებისთვის განკუთვნილი მასალა/ნედლეულის (იგულისხმება მარკერი, ქაღალდი, საშლელი ) პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის გადაცემა არ მომხდარა.

განხორციელდა ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების თვითშეფასება. თვითშეფასების კითხვარების გაანალიზების შედეგად გამოვლინდა ის საჭიროებები რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და

ადმინისტრაციულ პერსონალს აქვს. აღნიშნული საჭიროებების აღმოსაფხვრელად მუშაობის გაგრძელება დაგეგმილია 2021 წელს.

მტკიცებულება: ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების თვითშეფასების ანალიზის დოკუმენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის მასალა ნედლეული გადაცემის აქტები, სახარჯი მასალის შეძენისა და ჩამოწერის აქტები.

სტრატეგიული მიზანი 2 ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა

ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით 2020 წელს კეონი აკადემიაში დაგეგმილი იყო პროფესიული მომზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება. აკადემიამ მოიპოვა შემდეგი პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლება. ესენია, „ თმის ღებვა“ „ თმის შეჭრა“ და „ ფრჩხილის მოვლა-მოწესრგება“.

აკადემიაში შემუშავებულია პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების წესი.

მტკიცებულებები: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 3 20 0032013 27.03.2020

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 5 20 0032015 27.03.2020

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 4 20 00320918 30.03.2020

სტრატეგიული მიზანი 3 პროფორიენტაციის მექანიზმების დანერგვა „კურსდამთავრებულის დასაქმების ხელშეწყობა საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება;

აღნიშნული მიზანი თავის მხრივ მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობას, კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა, საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობის ხელშეწყობა.

პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილი იყო შეხვედრების ჩატარება სხვადასხვა სკოლებში თბილისის მაშტაბით. სამწუხაროდ ქვეყანაში

შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ აღნიშნული აქტივობის განხორციელების საშუალება არ მოგვცა. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით აკადემიის დირექტორი და სასწავლო პროცესის მენეჯერი იმყოფებოდნენ ტელეკომპანია იმედში, დღის გადაცემაში, სადაც ისაუბრეს პროფ. განათლების მნიშვნელობაზე, კეონი აკადემიის მიერ განხორციელებული პროფესიული პროგრამების პოპულარობაზე და დასაქმებაზე.

მტკიცებულება <https://keuneacademy.ge> <https://www.facebook.com/KeuneAcademyGe>

კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა. აკადემია ზრუნავს კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ შექმნილია პოტენციური დამსაქმებლების ბაზები და ხდება პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების ერთმანეთთან დაკავშირება. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, სამწუხაროდ 2019-2020 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს ჯერჯერობით არ აქვთ დამთავრებული სწავლება და შესაბამისად კვლევა დასაქმების შესახებ აკადემიას არ აქვს ჩატარებული. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სილამაზის სალონები საკუთარი ინიციატივით უკავშირდებიან აკადემიას და პროგრამის დასრულების შემდეგ იწვევენ კურსდამთავრებულებს სამუშაოდ.

მტკიცებულება: დამსაქმებელთა ბაზები

საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით აკადემიაში 2020 წელს შემუშავდა საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, სადაც დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებიდან მიღებული ინფორმაციის/შემოსული შეტყობინების დამუშავების ეტაპები და ვადები. ასევე აკადემიის ვებ გვერდზე და FACEBOOK გვერდზე პერმამენტულად ხდება სიახლეების განთავსება.

მტკიცებულებები: ბრძანება N 1-12 შპს კეონი აკადემიის ზოგიერთი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ; პროფორიენტაციისა და კარიერულ დაგეგმვის მენეჯერის მარიამ ყიფშიძის მოხსენებითი ბარათი N3731 28.12.20 <https://keuneacademy.ge> <https://www.facebook.com/KeuneAcademyGe>

სტრატეგიული მიზანი 4 ადამიანური რესურსების განვითარება; აღნიშნული მიზანი თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ამოცანებს: პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა და პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება



პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით აკადემიაში შემუშავდა პერსონალის საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის დოკუმენტი. პერსონალის თვითშეფასება განხორციელდა 2020 წლის დეკემბერში. სწავლების ხარისხის ამაღლება/ განვითარების მიზნით აკადემიამ 2020 წელს გაანახლა პროფესიული განათლების მასწავლებლების ბაზა, და მოიძია შრომის ბაზარზე კვალიფიციური პერსონალი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები.

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება პროფესიული მასწავლებლების თვითშეფასებიდან ირკვევა, პროფესიული განათლების მასწავლებლები საჭიროებენ დახმარებას შეფასების ინსტრუმენტების შექმნა/შემუშავებაში, აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაგრძელება დაგეგმილია 2021 წელს. დისტანციური სწავლებასთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებლებს პერმამენტულად მიეწოდებათ მასალები დისტანციურ სწავლებაში გამოყენებული მეთოდების შესახებ, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული ონლაინ ტრენინგების შესახებ ბმულები.

მტკიცებულებები: ბრძანება N 1-12 შპს კეონი აკადემიის ზოგიერთი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ; პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯრის ნანა ხითარიშვილის მოხსენებითი ბარათი N 3729 28.12.20

#### სტრატეგიული მიზანი 5 სტუდენტური სერვისების განვითარება;

აღნიშნული მიზანი აერთიანებდა ორ ამოცანას , კერძოდ; 1.პროფესიული სტუდენტების /მსმენელების უფლებების დაცვა, რაც თავის მხრივ აერთიანებს შემდეგ აქტივობებს: ა) პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვა/განხორციელება; ბ) პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება; 2. ექსტრაკურსულუმის აქტივობების წახალისებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება

ა)პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვა/განხორციელება; აკადემიაში პერმამენტულად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტებთან

საინფორმაციო შეხვედრები. შეხვედრები ეხება სასწავლო პროცესს, შეფასების წესისა და პირობების გაცნობას, სტუდენტთა უფლებებს და ვალდებულებებს, უსაფრთხოების ნორმებს. მობილობის წესს, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტაშეჩერების საფუძვლებს, აკადემიის მისიასა და შინაგანაწესს, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში განათლების უზრუნველყოფის მექანიზმების და ა.შ

მტკიცებულება: ჩატარებული შეხვედრის დღის წესრიგი,პრეზენტაცია, პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან შეხვედრაზე დასწრების ხელმოწერის ფურცელი

ბ)პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება; ჩატარდა კვლევა პროფესიული სტუდენტების სტუდენტური სერვისებით კმაყოფილების შესახებ. მომზადდა კვლევის ანალიზის დოკუმენტი, სადაც გაიწერა რეკომენდაციები. აკადემიაში პერმამენტულად ტარდება სხვადასხვა ტიპის პროფესიული სემინარები, პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა უკვე მოქმედ სტილისტებთან ერთად დასწრონ აღნიშნულ სემინარებს და გაიღრმავონ ცოდნა პრაქტიკული მიმართულებით.

მტკიცებულებები:სტუდენტური სერვისებით კმაყოფილების კვლევის ანალიზი დოკუმენტი, <https://keuneacademy.ge>

გ) ექსტრაკურსულუმის აქტივობების წახალისებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება.

მიმდინარე წელს პროფესიული სტუდენტების მხრიდან ადმინისტრაციაში არ მომხდარა რაიმე ინიციატივის გაჟღერება.თუმცა კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდათ გარკვეული შემოთავაზებები, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ ერთმანეთთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან საუბრობდნენ. აკადემიაში პერმამენტულად ხორციელდება სხვადასხვა ტიპის სემინარები, რომელზე დასწრებაც პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია. მაგ. “ თმის გაღიავების სემინარი“; და „თმის დამუშავების და ღებვის თანამედროვე ტექნოლოგიების საბაზისო სემინარი“.

მტკიცებულება: პროფესიული სერვისებით პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზის დოკუმენტი, პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერის მარიამ ყიფშიძის მოხსენებითი ბარათი N 3731 28.12.20  
<https://keuneacademy.ge> <https://www.facebook.com/KeuneAcademyGe>

სტრატეგიული მიზანი 6 ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება

აღნიშნული სტრატეგიული მიზანი აერთიანებს რამოდენიმე ამოცანას, ესენია: სასწავლო პროცესის შეფასება; სტუდენტთა კორპუსის მართვა; საქმისწარმოება და რეესტრის მართვა; ბიბლიოთეკა, საექთნო კაბინეტი.

ა) სასწავლო პროცესის შეფასება . ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე აკადემიაში სწავლება ხორციელდება სწავლების შერეული მეთოდით. ლექციების ძირითადი ნაწილი დისტანციურად ხორციელდება, შესაბამისად აკადემიაში ჩატარდა კვლევა იმ სირთულეების დასადგენად, რაც დისტანციურ სწავლებას ახლავს თან. მომზადდა შესაბამისი დოკუმენტი. სასწავლო პროცესის ეფექტური ადმინისტრირებისთვის უწყვეტად ხორციელდება სალექციო ცხრილების შედგენა, როგორც პროფესიული მასწავლებლებისათვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისათვის. აღნიშნული ცხრილები თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებთან. აკადემიაში სასწავლო პროცესის ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვისათვის მიმდინარეობდა მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიის მასწავლებლებთან სწავლების მეთოდებსა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში. სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხდება მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო მოდულის კალენდარული გეგმების შემოწმება და მათი მზაობის დადგენა მოდულის განხორციელებისთვის.

აკადემიაში დაიწყო ვერიფიკაციის პროცესი, რომლის დასრულებასაც ხელი ქვეყანაში არსებულმა ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ და მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლამ შეუშალა.

მტკიცებულებები: სასწავლო ცხრილები; კალენდარული გეგმები; სირთულეები დისტანციურ სწავლებაში კვლევის ანალიზის დოკუმენტი; სალექციო პროცესზე დასწრების შევსებული აქტები;

ბ) სტუდენტთა კორპუსის მართვის მიზნით რეესტრში გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა სტატუსები.

მტკიცებულებები: [www.e-vet.emiss.ge](http://www.e-vet.emiss.ge)

გ) საქმისწარმოება და რეესტრის მართვა მიმდინარე წელს განახლდა და ერთიან მონაცემთა ბაზაში აისახა:

- პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე/ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაცია;

- განისაზღვრა თითოეული საგანამანათლებლო პროგრამის დაწყება/დასრულების თარიღები
- თითოეული საგანამანათლებლო პროგრამაში შემავალი მოდულების დაწყება/დასრულების თარიღები
- პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის/სტატუსის შეჩერების/სტატუსის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია;
- საგანამანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია;

რაც შეეხება საქმის წარმოებას აკადემიაში იწარმოება შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- შემოსული დოკუმენტაცია
- გასული დოკუმენტაცია; □ შიდა დოკუმენტაცია;

თითოეული დოკუმენტი დამუშავებულია აკადემიაში მოქმედი საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

მტკიცებულებები: [www.e-vet.emiss.ge](http://www.e-vet.emiss.ge)

დირექტორის 13.02.2019 წლის N1-12 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი

დ) ბიბლიოთეკა. აკადემიის ბიბლიოთეკაში დაცულის „თმის მომსახურების „ და „ფრჩხილის მომსახურების“ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო მასალა, რომელიც ხელმისაწვდომის პროფესიული სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკარი ახორციელებს საინვენტარიზაციო წიგნის და პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნების აღრიცხვის ჟურნალის შევსებას. პროფესიული სტუდენტები აქტიურად სარგებლობდნენ ბიბლიოთეკარის მომსახურებით. ბიბლიოთეკის ინტერიერი პროფესიული სტუდენტებისთვის მოსაწონია.

ე) საექთნო კაბინეტი. აკადემიაში ფუნქციონირებს საექთნო კაბინეტი, რომლის მომსახურებითაც სარგებლობენ პროფესიული სტუდენტები. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ის პროფესიული სტუდენტები რომლებსაც უსარგებლიათ სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილები არიან. აკადემიაში გახსნილია შემთვევების აღრიცხვის ჟურნალი, სადაც აღიწერება აკადემიაში დაფიქსირებული შემთხვევები და მათზე რეაგირების მექანიზმები.

მტკიცებულებები: შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი , პროფესიული სერვისებით პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზის დოკუმენტი. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯრის ნანა ხითარიშვილის მოხსენებითი ბარათი N 3729  
28.12.20